საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლილოს განძი

ლილოს განძი, სპილენძის ქართული მონეტების განძი (300 ც-მდე) „არაწესიერი ჭედისა“. ნაპოვნია 1937 სოფ. პატარა ლილოში (მარტყოფის მუნიციპ.). განძის შედგენილობა ასეთია: მეფე გიორგი III-ის (1156–84) – 44 ც., მეფე თამარის (1184–1207/13) – 90 ც., გიორგი IV ლაშასი (1210–23) – 100 ც; მათი თანამედროვე აღმოსავლური ფულის უმნიშვნელო მინარევი: აზერბაიჯანელი ილდეღიზიდი მმართველების და დარუბანდის ამირა მუზაფარ იბნ მუჰამედ იბნ ხალიფეს – 15 ც., სელჩუკი რუმის (XIII ს.) – 1 ც., დერბენდის ემირის – 2 ც., გაურკვეველია – 27 მონეტის კუთვნილება.

განძი XIII ს. II ნახევარში უნდა იყოს ჩამარხული.

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; К а п а н а д з е Д. Г., Клад монет XII–XIII вв. из сел Ничбиси, „Вестник Гос. Музея Грузии“, 1969, в. 28; П а х о м о в Е. А., О Дербендском княжестве XII–XIII вв., Известия АзГНИИ историко-этнографическое и археологическое отделение, т. 1. Б., 1930.